შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2010 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია: ''დაგეგმე- შეასრულე - შეამოწმე - იმოქმედე". სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში მნიშვნელოვანია კარგად სტრუქტურებული საგანმანათლებლო პროგრამები და მათი განხორციელება წინასწარ დადგენილი წესისამებრ. ცხადია, როცა საუბარია ''წინასწარ დადგენილ წესებზე" იგულისხმება, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულია მარეგულირებელი დებულებები: დადგენილია პროგრამის სტანდარტები და განხორციელების პირობები, რაც გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესში ჩართული ყოველი მხარისთვის (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი). სასწავლო პროცესის განხორციელება უნდა შეესაბამებოდეს დებულებებით დადგენილ ნორმებს, შემოწმების პროცესი კი გულისხმობს განხორციელებული საგანმანათლებლო პროცესის შედარებას დადგენილ ნორმებთან, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, შემოწმების შედეგად დგინდება დადგენილი ნორმების ეფექტურობა, ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში ისახება მათი გამოსწორების გზები, დადებითი ასპექტებისთვის კი მუშავდება მათი შენარჩუნებისა და მდგრადობის მექანიზმები. ''იმოქმედე" ფაზა გულისხმობს აქტივობას შემოწმების შედეგად შემუშავებული გეგმის განსახორციელებლად. პროცესი ვითარდება უწყვეტად, რაც საბოლოოდ იწვევს მექანიზმების დახვეწას, დადებითი ასპექტების მდგრადობას და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განვითარებას.

მარეგულირებელი წესებისა და დებულებების საკითხი რსუ-ში მეტნაკლებად მოწესრიგებულია (ამ მხრივ ერთმანეთთან შესაბამისობაშია მოსაყვანი ზოგიერთი შიდა სამართლებრივი აქტი, ასევე საჭიროა შიდა სამართლებრივ აქტებში დროულად აისახოს საკანონმდებლო ცვლილებები). მათ შესრულებას რაც შეეხება აქ თავს იჩენს გარკვეული პრობლემები.

სხვადასხვა დროს რსუ-ში განხორციელდა საუნივერსიტეტო საქმიანობის ცალკეული ასპექტების შეფასება, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით. მაგალითად: არქივში დაცული დოკუმენტების, დეკანატებში არსებული პირადი საქმეების, ვებგვერდის გამართულობის ანალიზი, პროგრამების ექსპერტიზა, სადოქტორო სწავლების შეფასება, სადისერტაციო საბჭოების მონიტორინგი, მინიჭებული კვალიფიკაციების სანდოობა, მობილობის დროს კრედიტების აღიარების პროცედურა, უწყისების წარმოებაში არსებული ხარვეზები, სასწავლო

პროცესის მიმდინარეობის შეფასება და სხვა...ჩატარებულ მონიტორინგს ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა, ამასთან მასში ჩართული იყო კონკრეტული სამსახურის წევრები. ვფიქრობთ, უმჯობესია გადავიდეთ პროცესების კონტროლისა და მართვის ელექტრონულ სისტემაზე. იგი სტანდარტებთან შედარების ავტომატური ინდიკატორი იქნება და არსებული რესურსებით ოპტიმალური მართვის საფუძველს მოიტანს (მაგალითად, შეფასების სიტემაში არსებული ნაკლოვანებები გაცილებით იოლად და ადრე იჩენს თავს თუ არსებულ ჟურნალებთან ერთად გვექნებოდა ჟურნალების ელექტრონული ვერსიაც, სადაც არაუგვიანეს მე-7-მე-8 კვირისა დაფიქსირდება სტუდენტის მიმდინარე შეფასების ქულები და სწრებადობა საგნის მასწავლებლის მიერ, დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ლექტორის დაშვება ბაზაში აღარ მოხდება, პროგრამა კი ამობეჭდავს ყველა იმ სასწავლო კურსების ჩამონათვალს, სადაც დადგენილი დროისთვის არ დაფიქსირდა სტუდენტების შეფასებები. ბუნებრივია, ყველა გამოვლენილ შემთხვევას უნდა მოყვეს შესწავლა და სათანადო რეაგირება, უწყისი ბაზიდან ამოიბეჭდება გამოცდის დასრულების შემდეგ, დასკვნითი გამოცდის ქულების ჩათვლით. ეს თავიდან აგვაშორებს მრავალჯერად ჩასწორებებს უწყისში. ჩვეულებრივი ჟურნალი და უწყისი, როგორც დოკუმენტი შეინახება).

საგანმანათლებლო პროგრამები

სასწავლო პროცესის დაგეგმვა გულისხმობს კარგი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას, რაც მოითხოვს დარგის სპეციალისტების შემოქმედებით მუშაობას. პროგრამის შემუშავების/განახლების პროცესში მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინება, ამისთვის კი ზუსტად უნდა იქნეს დადგენილი დაინტერესებული მხარეები: აბიტურიენტები, მშობლები, დამსაქმებელი, აკადემიური საზოგადოება, სახელმწიფო, კურსდამთავრებულები. პროგრამის შემუშავება/განახლების პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული დარგის აკადემიური პერსონალი. წინასწარ უნდა განისაზღვროს და პროგრამაში მკაფიოდ აღიწეროს პროგრამის მიზნები, დასაქმების სფეროები, სწავლების შედეგები, შეფასების მეთოდები და სისტემა, სასწავლო კურსები და თითოეული მათგანის აღწერები (სილაბუსები). პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იქნას კრედიტები არჩევითი კურსებისთვის. იგი უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსებს შორის ურთიერთკავშირსა და ლოგიკურ თანმიმდევრობას. სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს წყობას მარტივიდან რთულისკენ, პროგრამაში სწავლების საფეხურის მიხედვით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბალანსი თეორიასა და პრაქტიკულ უნარებს შორის. მნიშვნელოვანია პროგრამის შემუშავების, განხილვის და დამტკიცების პროცედურების დაცვა, დამტკიცებული პროგრამის სანდო აღრიცხვიანობა. დარგის სპეციალისტებისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ უნდა ჩატარდეს თითოეული პროგრამის ყოველწლიური შეფასება, პროგრამის

განახლება ან მასში ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს მხოლოდ დასაბუთებული არგუმენტების გათვალისწინებით.

სამწუხაროდ, გასულ წელს ჩატარებულმა პროგრამების ექსპერტიზამ და კანონმდებლობით გათვალისწინებულმა თვითშეფასებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხშირ შემთხვევაში არ არის ჩამოყალიბებული დადგენილი ნორმების შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი დამტკიცებული პროგრამების სანდო აღრიცხვიანობა. სუსტადაა განსაზღვრული სავარაუდო დასაქმების სფერო. პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების აღწერა ზოგჯერ არ შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამები დოქტორანტურასა და მაგისტრატურაში, გაცილებით მეტ ხარვეზს მოიცავს, ვიდრე ბაკალავრიატში.

პროგრამის შემუშავება-განახლებაში პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების ჩართვა და მისი ცალკეული შედეგების გათავისება აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის მდგრადობისა და ეფექტურობის გარანტიაა. პროგრამის აღწერა აუცილებლად უნდა განთავსდეს ვებგვერდზე. კარგად შედგენილი პროგრამის, თანდართული სილაბუსებისა და პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობაში მიღწეული წარმატებების გამოქვეყნება პროგრამის პოპულარიზაციისა და სანდო ექსპერტიზის ეფექტური საშუალებაა. პროგრამის ჩამოყალიბება და ეფექტური განხორციელება უშუალოდ დეპარტამენტების ფუნქციაა.

გასულ წელს სილაბუსებისა და პერსონალის ანკეტური მონაცემების ვებგვერდზე განთავსებამ ძალიან დიდი დრო წაიღო, პროცესი სრულად არ დასრულებულა და უკვე ახალი სასწავლო წელია, ინფორმაცია მოძველდა და განახლებას მოითხოვს. პროცესის გამარტივების მიზნით, სხვადასხვა უნივერსიტეტებს პერსონალისთვის დაშვებული აქვთ ვებგვერდზე წვდომა, რათა ყველა თავად ატვირთოს ანკეტა და სილაბუსი, სპეციალური სამსახური ამ პროცესს მხოლოდ ადმინისტრირებას უწევს. პროგრამა დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ გამოავლენს იმ პერსონალის სიას, ვინც აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა. სათანადო სამსახური ატარებს ექსპერტიზას განთავსებული ინფორმაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით (აქ დეპარტამენტებმა უნდა აიღონ სათანადო პასუხიმგებლობა, რათა დროული რეაგირება მოხდეს ხარვეზებზე). შეიძლება პერსონალის დავალდებულება იმის შესახებ, რომ თავიანთი სილაბუსები და ბიოგრაფიული მონაცემები ინგლისურ ენაზეც წარმოადგინონ. სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა და პერსონალის ინფორმირებულობა უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სამსახურმა.

პროგრამის განხორციელება

”შესრულება“ ფაზა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, პროცესი იწყება პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვით, აქ მიდგომა შეცვლას მოითხოვს, ფაქტიურად სტუდენტს პროგრამის არჩევის უფლება აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს პროგრამაზე დაშვების უგულვებელყოფას. თითოეულ საფეხურზე ცალკეული პროგრამისთვის უნდა გვქონდეს მკაფიოდ დადგენილი და წინასწარ გამოქვეყნებული პროგრამაზე მიღების პირობები. მაგისტრანტობის კანდიდატს უფლება აქვს რამოდენიმე პროგრამაზე სცადოს გამოცდის ჩაბარება, მისაღები გამოცდები არ უნდა დაემთხვეს ერმანეთს, სტუდენტი, რომელსაც მაგისტრატურაში სურს სპეციალობის შეცვლა, გამოცდას აბარებს რამდენიმე სპეციალობაში, რომელიმე პროგრამაზე მარცხის შემთხვევაში მას საშუალება მიეცემა თავისი სპეციალობით მაინც გაგრძელოს სწავლა. თუ მიღების პოლიტიკას არ ვცვლით გამოცდების წინ, ამასთან არ დავუშვებთ მცირეკონტიგენტიანი ჯგუფების გახსნას, პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული პერსონალი იძულებული იქნება იზრუნოს პროგრამის გაუმჯობესებაზე და სტუდენტების მოზიდვაზე. აუცილებელია უცხო ენაში გამოცდის დაწესებაც. (შემოწმებებმა ცხადყო მცირეკონტიგენტიანი ჯგუფები სწავლის დაბალ საფეხურზე არ ამართლებს). დასახვეწია სადოქტორო პროგრამაზე დაშვების მექანიზმებიც.

პროგრამის განხორციელების ეფექტურობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია როგორც სასწავლო კურსების ხარისხიანი გადაცემა, ასევე სტუდენტთა მიღწევების ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასება, შეფასებისას დაცული უნდა იქნეს უწყვეტი შეფასების პრინციპი.

შეფასების სისტემაში გამოვლენილი ხარვეზები: ხარვეზები ფიქსირდება როგორც ჟურნალებში, ასევე უწყისებში. ჟურნალების ფორმა ითვალისწინებს ძირითად და დამატებით სასესიო პერიოდში მიღებული დასკვნითი გამოცდის შეფასების დაფიქსირებას, რაც მნიშვნელოვანია, რადგან FX შეფასების მქონე სტუდენტს გამოცდაზე კვლავ გასვლის უფლება აქვს. ჟურნალების აბსოლუტური უმრავლესობა არ არის სრულყოფილად შევსებული, რაც არ იძლევა ნათელ სურათს, როდის და როგორ შეფასდა ესა თუ ის სტუდენტი, იყო თუ არა სწავლების პროცესში შეფასების უწყვეტობის პრინციპი დაცული. ჟურნალი უნდა იძლეოდეს სრულ წარმოდგენას თითოეულ ქულასა და კომპონენტზე. უწყისის წარმოება-რეგისტრაციის წესის თანახმად უწყისში აუცილებლად უნდა მიეთითოს სასწავლო კურსის სწავლებაში ჩართული ყველა ლექტორის ვინაობა, თუმცა მის მიმართ წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის ხელმძღვანელი. უწყისების შესწავლამ, აჩვენა, რომ ეს ნორმა ხშირად დარღვეულია. რაც ფაქტიურად ართულებს დაფიქსირებული საბოლოო შეფასების სანდოობის დადგენას. ზოგჯერ ლექცია + პრაქტიკული +

ლაბორატორიული ფორმატის სასწავლო კურსებში სალექციო კურსს უძღვება ერთი ლექტორი, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებში, სხვადასხვა ჯგუფებს სხვადასხვა ლექტორი ასწავლის. დაუშვებელია სხვადასხვა მიდგომა პრაქტიკულზე აქტივობის შეფასებისას, როგორც სხვადასხვა ჯგუფებს შორის, ასევე თავად ჯგუფებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს უნივერსიტეტში დაისვა სამაგისტრო პროგრამების საკითხი, უწყისებისა და ჟურნალების ზედაპირული დათვალიერების დროსაც კი მაინც ჩანს მცირეკონტიგენტიანი ჯგუფების განსაკუთრებული სიმრავლე. ჯგუფები 1-3 სტუდენტით არაეფექტურია, სტუდენტთა მოტივაციის, სწავლების ხარისხის და ეკონომიკური თვალსაზრისითაც. დიდ კონტინგენტიან ჯგუფებში სტუდენტისა და ლექტორის მობილიზაციისა და პასუხისმგებლობის ხარისხი შედარებით მაღალია.

საგანმანათლებლო საქმიანობაში ”შეასრულე“ ფაზის დასასრულად შეიძლება მივიჩნიოთ კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა, სტატისტიკურად უნდა დამუშავდეს, პროცენტულად რა ნაწილი ვერ ასრულებს პროგრამას. ამასთან კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს მხოლოდ იმ პირებს, ვინც რეალურად შეასრულა პროგრამა.

”შემოწმება“ ფაზა გულისხმობს დაგეგმილი პროცესების მიმდინარეობის ეფექტურობას, სისწორეს. არსებული ნაკლოვანებების გამოვლენას, საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას. აქ იგულისხმება, შიდა და გარე აუდიტი.

დოქტორანტურაში დაგროვილია სერიოზული პრობლემები: სწავლის მესამე წლის დოქტორანტების დიდ ნაწილს საკმარისი რაოდენობის პუბლიკაციები არა აქვთ, ან ადგილობრივ გამოცემებში აქვეყნებენ, არსებობს პლაგიატობის რისკიც.

დოქტორანტის წინადადება: უნივერსიტეტს უნდა ქონდეს იმ გამოცემების ჩამონათვალი და პირობები (გზამკვლევის სტილში), რომელში გამოქვეყნებაც აუცილებელია დისერტაციის დასაცავად.

რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური